პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №**

**2023 წლის ----- დეკემბერი, ქალაქი ბათუმი**

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 27 ნოემბრის N7240/02 მომართვის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქუჩა N29-ში, I სართულზე, ლოტ ,,ბ"-ში მდებარე 53,20 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: 05.02.26.005.01.506).
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.
3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე**
**რამაზ ჯინჭარაძე**

## გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი   ბ ა რ ა თ ი

**პროექტის სახელწოდება და სათაური**

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე ფართის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ“**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი**

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოვიდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2023 წლის 27 ნოემბრის N7240/02 (N07-1423331360-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2023 წლის 20 ოქტომბრის N36 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, განხილულ იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, სახელმწიფო, მუნიციპალურ საკუთრებად რეგისტრირებული და ფიზიკური პირების ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართების, საკუთრებაში გადაცემაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი, მათ შორის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე შენობა-ნაგებობების პირველ სართულზე არსებული, მოქალაქეების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული 53,20 კვ.მ ფართის (ს/კ05.02.26.005.01.506) ფაქტობრივი მფლობელის (ნანა ხიტირი - პ/N61001040659) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე რეკომენდაციის გაწევის საკითხი. აღინიშნა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების ფაქტობრივ მფლობელთათვის საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-8 მუხლის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, ზემოხსენებული კომისიის 2023 წლის 20 ოქტომბრის N26 რეკომენდაციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ეთხოვა შესაბამისი სამართლებრივი პროცედურების გატარება უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებად რეგისტრაციისათვის. შემდგომში, იქ მცხოვრები მოქალაქეებისათვის საკუტრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მუნიციპალიტეტი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების პირდაპირი წესით განკარგვა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკას საკუთრებაში გადმოეცეს ზემოხსენებული ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული, ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში მდებარე უძრავი ქონება (ს.კ. 05.02.26.005.01.506). შემდგომში, იქ მცხოვრებ მოქალაქეებზე (ნანა ხიტირი - პ/N61001040659) საკუთრების უფლებით გადაცემის მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

,,სახელმწიფოს/აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის/ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული და ფიზიკური პირების მიერ საცხოვრებელ სადგომად გამოყენებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი

ფართების შემსწავლელი შერეული სამთავრობო კომისიის“ 2023 წლის 20 ოქტომბრის N36 საოქმო გადაწყვეტილების თანახმად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ბათუმში, მემედ აბაშიძის ქ. N29-ში (ს.კ. 05.02.26.005.01.506) მცხოვრებ ფიზიკურ პირებზე 53,20 კვ.მეტრი ფართის კერძო საკუთრებაში გადაცემა.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან**

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

**ე) პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

**ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის**
**მუნიციპალური ქონებისა და**
**სერვისების მართვის სამსახურის უფროსი**
**დავით კოპინაძე**